

გაზეთის ფასი:

გაზეთით თვილში	ბაზუგაზეთით:
და გარეშე ადგილებში:	
ერთი წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

საკვე ერთის ნუმერისა გაზეთზეთით — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

საზოგადოებრივი მოძრაობის

თვილში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, მალაიანის პროსპექტზე, რეიტერის სახლში.

თვილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСЬ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. მასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკოლონიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი: განცხადება მეშვიდე მეჭვეის კამისისა. — **თვილისის საფორტო სამართველო**საგან. პოლიტიკა: — **საბერძნეთი**, ტელეგრაფები. **სალიტერატურა** ნაწილი: — **შლაღველ** მოხუცის ნაშრომი. **სხვა-და-სხვა** ამბავი. — **პოლიტიკური უფლება** დედა-კაცისა. — **წილს ყველაზედ** შესანიშნავი რა მოხდა. — **ნუ-იორკის შტატში** სასწავლებლები რა მ. გამოარობაშია. **შეღებანი:** — **რამდენიმე სურათი** ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან. **სახაზინო** განცხადება. **საბიბლიოგრაფი** ცნობა. **ქერძობითი** განცხადება.

თვილისის საფორტო სამართველო საგან. მისი იმპერატორების უმაღლესობის ნებადართვით აბსტრუქციონიზმი გაიგზავნება და მიიღება უბრალო კორრესპონდენცია 15 მაისიდან 15 სექტემბრამდის.

პოლიტიკა.

საბერძნეთი. საბერძნეთის აღჭურვა. — ამბები თესსალიიდან და ძრითის კუნძულიდან. მართს ნემეცურს გაზეთში, 30 აპრილს, ათინიდან იწერებინა: „ხმა დაადგეს, ვითომც საბერძნეთს და ოსმალეთს შუა დიპლომატიური მიმართობა გაწყვეტილიყოს; ვითომც ომერ-ფაშას გაცეს ბძანება, რომ ყველა ოსმალეთის ჯარი, რაც ძანდის კუნძულზეა, გარნიზონს გარდა, გაგზავნონ საბერძნეთში და შემოგრტყან სირას, პირეას და ნავლიას; მაგრამ ეს ამბავი ტყუილი გამოდგა. საბერძნეთის მთავრობა ხელ-დაკრეფილი მანც არ არის. პირეაში 120 უთი თოფებით სავსე მოიტანეს და ელიან 2 ბატარეას შაშხანის ზარბაზნებისა (нарѣзные орудія), თავის სამხედრო გამართულებით. მთავრობამ სულ 25 ათასი თოფი იყიდა. ამას გარდა ჩუმათ გაიკა ბძანება, რომ საბერძნეთის ნავთსადგურები და ფლოტი დაიკვან. თესსალია-

ში და მპირში ქრისტიანები ძალიან მღელვარებენ.

მოსახლერე სოფლებში რაც ქრისტიანები ესახლნენ, აღმოიროდგან დაწყებული ბიაცი-ნუსამდინ, მთლათ ერთიანათ ადგნენ. 6 ასი მოსახლერე ცოლ-შვილიანათ საბერძნეთში გადვიდა. ინსურგენტებსა და ოსმალებს შუა ყოველ დღე შეტაკება — ხან ერთი სძლეეს, ხან მეორე. ინსურგენტების მოთავეს 1000 კაცი ჰყავს თავის ზელ-ქვეით და აგრეთვე მთისგასავლებს იცავს. თესსალიონკში შრანციის კონსულათ დანიშნეს ბურე, რომელიც არის შრანციის ელჩის ნათესავი ძოსტანტინებოლოში. ძრითის კუნძულიდან არა ფერი ამბავი არ მიუღიათ სამხედრო მოქმედებაზე. ომერ-ფაშა ძანდის მახლობლიე აგროვებს თავის ჯარს, და მთელი თავის ძალით უნდა დაეცეს სფაკიტებს. იმის შტაბში ბევრი მენგრის აფიცრები ურევიან. ინსურგენტები თავიანთ ჯარებსაც აგრეთვე აგროვებენ. როგორც ფიქრობენ, მალე უნდა მოხდეს დაბოლოებითი ბრძოლა. მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ ოსმალეთის ჯარმა, თუნდ მეტიც იყოს, სფაკიტებზე დაამარცხოს, რადგანაც იმათ ძალიან მეგარი ალაგები უქირაეთ. თუ ვინცოდაა კრიტიკლები დამარცხდნენ, მაშინ ისინი მთაში წაილენ, სადაც ოსმალეთის ჯარს იმათი დენა არ შეუძლიან.

ტ ე ლ ე ბ რ ა მ მ მ მ მ ი,
პეტერბურგში მიღებული.

ქოსტანტინოპოლი, 11 (23) აპრილს. პორტა რეფორმების მოხდენას აპირებს; მოელიან, რომ ამ მოკლე ხანში სახელმწიფო რჩევა დაწესდება სამოცი კაცისაგან. ოსმალეთის მმართველობა ფიქრობს ყოველს თავის სამხედრო გემზედ კამანდირათ ანგლიე-ლი ან ფრანცუზი დანიშნოს.

ნუ-იორკი, 24 აპრილს. მენიკის რესპუბლიკელებმა პუებლო აიღეს და მათმა სარდალმა ლიცმა ბრძანება გასცა, რომ ყველა ამ ქალაქის გარნიზონის აფიცრებს თავი მოსჭრან.

ბერლინი, 17 (29) აპრილს. დღეს კაროლმა მიღწეულმა პრუსიის პარლამენტი გახსნა.

პორუშ, 18 (30) აპრილს. ძანიდან (ძანდის კუნძულზედ) მოვიდა ამბავი, რომ ომერ-ფაშა განდგომილებზედ გაელაშქრა ორმოცდა თექვსმეტი ბატალიონით ოსმალეთის და მგვიპტის ჯარისა. ძარგია თუ განდგომილებმა ექვსი ათასი კაცის გამოყვანა შეიძლეს ოსმალეთის ჯარის წინააღმდეგ.

მენა, 19 აპრილს (1 მაისს.) გაზეთში „მენის საღამოს შოჩტა“, დღეს სწერენ, რომ ლუქსემბურგის დიდი სადერცოგო მმართველობის მოპატივებით კონფერენცია ლონ-

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

მეშვიდე მეჭვეის კომისისა მომავალს მაისს დაიწყებს თავის მოქმედებას თელავის უფესი და იმავე უჩასტკაში. კომისისა მაისიდან განაგრძობს შინაურს გამიჯვნას და გაყოფას მამულებისას ძისტურისას, მბოლოძისას, ჩჩუ-ლეთისას, ზემო-ხოდაშენისას, სახელმწიფოს და შილოტის მონასტრისას, აწყურისას, რუის-პირისას, იყალთოსას, ახატელის და მრატოზანისას; გარდა ამისა შემოუყვლის გარეშემო მიჯნებს სოფლის წინანდლისას. ამისთვის მეჭვეის კომისისა უმორჩილესად სთხოვს იმ პირთ, რომელთაც აქეთ საკუთრება, ან მონაწილეობა იმ მამულებში, გამოცხადდნენ კომისისაში, ან გამოგზავნონ დასაცველათ თავის საკუთრებისა ექველი კანონიერის რწმუნების წყრილთ.

რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან.

IV.

V.

მერაზედ დიდი სახლებია; გარედგან აწერია „ქალაქის საავთმყოფო“, შიგ ერთ ოთახში რამდენიმე ქალია, მღერინ ქალაქურ სიმღერებს „ძალი ხაბარდიანოს“, „ლამუ-ლამუს“ „მთარეს“, „ღამეს“, „ლილას“ და სხვა სიმღერებს. „იან-ანასაც“ ხშირათ მღერინ ვითომ და „ბატონები“ სწევინან და ყვავილი, ან ქუნთრუშა სჭირთ. ადამიანის სახე არც ერთს არა აქვს: გამხდრები, დამახინჯებულეები; ტუჩები დასიებული, კბილებ ჩაშავებულეები, ზოგს კიდევ ჩასციენია, თავზედ თმა აღარ ადგებთ; ზოგნი ტანში იმტრევიან და იზმორებიან ნაძინარევისაგით, ზოგს რა სტიკევა და ზოგს რა... მაინც კიდევ თავისას არ იშლიან ქალები: დახტან, თამაზობენ, ერთმანეთს სცემენ, ერთი კარებში დგას ყარაულათ, რომ ექიმბაშმა, ან საავთმყოფოს ზედამხედველმა არ შემოასწროს ამ დროს.

ამ ოთახშივე ერთი გადადებული ავათმყოფი კუნძულში წევს მიბუნდებული, პირ აკრული. ამხანაგ ქალებს უნდათ ეს ქალიც გაამხიარულონ, მაგრამ ტყუილათ ფიქრობენ, — ის იმათ ზედაც არ უყურებს, დაწითლებული და ცრემლიანი თვალები ქერში მიუბჯენია და გულ ამოხდარი ტუჩებს აცმატუნებს, ეტყობა ლოცულობს... პატარა ხანს უკან შემოცუნულდა კარებიდან ერთი ბებერი დედაკაცი, აქა-იქ ბოლო შეხეულის შავი სამოსლის კაბით; რალაც ფოსტონების მაგიერი ფესსაცმე-ლი იქვე დაყარა და ისე მივიდა იმ გადად-

ბულ ავათმყოფთან; თვალების წმენდით მოუჯდა ფეხით, — **მპ,** დედი, როგორ აქამდის ერთი არ შემოიხედე, აღარ მოგაგონდი, მოლოდინში ლამის სული ამომივიდეს...

— **შვილო,** ეხლა როგორღა ხარ, ხომ დავიცხრა სიმსინე, ხომ ისე აღარ გტყვავს ტანში? **მაე,** შენ-დედას, რომ არცკი ვიცოდი, სად იყავ, რამდენ-ჯერ დავაპირე შემოსელო-არ შეიძლებოდა...

— **ძალიან** ცუდათა ვარ, დედი, ჩემი ყოფნა საკითხავი აღარ არის, სულ გავთავდი... — **სრე-მლები** გადმოსციედა...

— **რას** მიჰქარავ, ტუტუტო, რაებსა ჰმოდამს?! **რა** შენისთანა გადადებული ავათმყოფები ყოფილან, მაგრამ დღესაც ფეხზედ დიან! **ღმერთი** მოწყალეა, **შვილო,** ის ილოცე, ეგები შეგებრალოს და მოგებრუნოს დაკარგული სიმრთელე; მე, **შვილო,** სულ მოვიარე, რაც საყდრები იყო ქალაქში „დიდება“ შეუთქვი, სადმოცა, ამ ერთს წელიწადს არც ხილი და არც ხორცი არ უნდა ეჭამო, მაშაპაპის სალოცავშიაც უნდა წავიდეთ; მღვდელს ეაწირინენ სანთელ-საკმელი გზას არ დაჰქარავს, სიონთა ლეთის-მშობელს შეუთქვი ყოველ შაბათობით ლოცვა, — **შენც,** **შვილო,** შეუთქვი რამე, ან ეკლესიაში სამსახური სადმე, მაგრამ მთაწმინდაში და სამთავროს დედათ მონასტერში (მცხეთაში) კი სჯობია მოლოზნობა, ეგები ღმერთმა გისმინოს და გადმოგხედოს.

— **მპ,** დედი, მე ვერა სასწაული ვეღარ გამამთვლებს, ვეღარაფერი ვერ გამკურნებს, მე თითონაც აღარ მინდა სიცოცხლე; ან რალა სასიცოცხლო ვარ სულით და ხორცილთ დაკარგული ორსავ სოფლად. **მეც-** დარი ადამიანი სჯობია, ცოცხალ ეშმაქსო, იტყვიან, ეს მე მჯერა. მეც ეშმაკათ მივანჩივარ ქვეყანას, თითონ ჩემ ძმებსაც, რომლებ-

ბიც მერიდებიან შეჩვენებულსაგით, სიკვდილი დღესაც არ გამხადეს ღირსი ნახვისა; აი, ეხლა, დედი, რატომ შენთან არ მოვიდნენ ჩემი ძმებიცა და არა მხანგს, უკანასკნელათ აი გამამთხოვენ, მე ხომ გვეგეწებოდით!...

— **შვილო,** მაგას როგორ ამბობ, როგორ არ გნახვენ, მაგრამ ორნიე სხვაგან არიან ეხლა, და როგორც მოვლენ ქალაქში, მაშინვე შენთან წამოვლენ, — **იტყუა** ბებერმა დედამ; მართლა ძმებს არ უნდალათ ენახათ ამისთანა ყოფა ქვეყის და...

— **მპ,** დედი, ამ სიკვდილის ვამს მაინც გამაგონე მართალი სიტყვა; მე კარგათ ვიცი, როგორც მიყურებენ ჩემი ძმები და ან სხვანი; **ღმერთმა** ხომ იცის, მთელ სიცოცხლეში ჩემი საკუთარი ნებით ერთი ლუქმა პურიც არ შემიქამია, მე ვინ რასა მკითხავდა... **მთელმა** ჩემმა სიცოცხლემ გაიარა სხვების სიამოვნებისათვის, მე რა ბრალი ვარ? **რა** დანაშაული ვარ, რომ ამ ალაგას ჩამადგეს, რომელიც მეც მეზიზღება, მაგრამ ვერსად წაუვალ და ბევრიც მნდოდეს ვერას გავაწყობ... ასე უღრო უღროთ უნდა ვეწვიო საიქაოს, სადაც უარესი მიმელის, **ღმერთმა** ხომ იცის, ბრალი კი არა ვარ, ისიც არ ვიცი, ვისი ბრალია, მაგრამ მე ჩემ დღეში არ ვეძებდი ამ გვარ ცხოვრებას, რომელმაც ასე ადრე მომაკლო სიცოცხლეს და საზიზღარი გამხადა ძმებისთვისაც კი... **მპ** სიტყვებს ამბობდა: კნავილით, ლულულულით და სახის შექმუხებით, თითქო სიტყვებს სულიც თან ამოჰყვებო, თან წყაროსაგით ცრემლი ჩამოსდიოდა ლოყებზედ... **პრც** დედა იყო თვალ მშრალი. სხვა ავათმყოფი ქალები თავისას არ იშლიდნენ: შაზი-ბეგის თხებისაგით დახტოდნენ კრაოტიდგან კრაოტზედ და თანაც დამღეროდნენ ლექებს. **ბინდებოდა,** გარეთ თოვლ-ჰყავი იყო, ბებერ დედას არ უნდადა გასელა ამ თბილი

სახლებიდან; იმ წუთს თითქმის ავათმყოფობა ინატრა, ოღონ ასე თბილ ოთახში ვიყო იფიქრა... **ზად**დებულ ავათმყოფ ქალთან კი არ უნდალა დარჩენა, გული არ უდგებოდა. **თუმცა** დედა იყო და არც კუჭი გაუძლებოდა ქალის ფეხთით ჯდომით, უნდა წასულყო გზებზედ ეთხოვნა იმ ლამისთვის საკმე-ლი... **ამ** დროს მოსამსახურემ დაიარა სახლები, დათვალიერა, რომ უცხო არაინ დარჩენილიყო საავთმყოფოში, ბებერთანაც მოვიდა და რალაც უთხრა...

ბებერმა თავის ქალსა ჰკითხა: **შვილო,** ეს უფროსი რასა ბრძანებს?

— **მე** ამბობს, დედი, დრო არის, სახლში წადი, კარები უნდა დაეკეტო. მაგრამ მოსამსახურემ ბებერი აღარ დააცადა ახსნასა, კლავეში ზელი მოჰკიდა და კარებზედ უჩვენა და გაბრუნდა... **დედაც**აც წივილი-კივილი შეუდგა: **ჰო, ჰო,** შე პირმაო, წაეალ, აქ ხომ არ დავწვები, მინდა პატარა ხანს ქალს უყურო.

— **დედი,** აქ ისეთი ადათია, რა გაეწყობა, უნდა გავშორდეთ და იქნება ვერცკი ენახოთ ერთმანეთი საიქოამდის.

— **აი,** შე ლაჩარო, როგორ თუ ვერა ენახოთ, აქამდის მიჰბრდა, რომ არ ვიცოდი ეს ალაგი, პირველი შემოსელა სჭირდა, თორემ ამას იქით ხშირათ გნახამ ხოლმე, ხვალაც აქა ვარ.

— **იპ,** დედი, მწარეთ ჩაიცინა ქალმა: ჩავისუნთქავ და არ ვიცი ამოსუნთქვებზედ ცოცხალი ვიქნები, თუ არა და შენ ხვალისთვისა მპირდები ნახვისა. **დედი,** ჩემი იცოცხლე ბეწვზედ და ჰკიდა, საამედო აღარ არის; მაგრამ სიკვდილი არაფერი, მე ეს მაშინებს, რომ საქაოს დავიტანჯე და საიქაოს უარესი მიმელის. **რა** უბედურ მასკელაზედ დავიბადე, შავ და უკუღმა ის დღე... **დედი,** თუ სიცოცხლეში ნახვის ღირსი არ გამხადეს ჩემმა ძმე-

ონში შეიყრება 2 აპრილს (7 მაისს). რუსეთის რუსის და პეტროვის წარმომადგენლებთან კონფერენციაზე იქნებოდა იმათი ელჩები ან- გლიის სასახლესთან, სახელდობს ბარონი ბრუ- ნოვი, გრაფი ბერნსტორფი და გრაფი პპონი.

ქოსტანტინოპოლი, 15 (27) აპრილს. მგვიტის ვიცე-კარალი უკმაყოფილოა თავის მინისტრებზე, ნუბარ—ფაშაზე, რადგანაც საქმეები ძალიან მძიმეთ მიჰყავს და უბრძანა თავის ძანდიაში მყოფს ჯარს, რომ ამით ბრძო- ლაში არა ვითარი მონაწილეობა არ მიი- ღონ.

ბარსელონა, 19 აპრილს (1 მაისს). ძა- ტალონიაში მღვდელთა მხარე გენერალ- კაპიტანის წინააღმდეგ. ჯარები საჩქაროდ გა- იგზავნენ სარაგოსაში და შავუერასის მთებში, სადაც განდგომილების თაბუნები გამოჩნდნენ. იმათი ლოზუნგი ეს არის: „მაუშარჯოს პრისს, რესპუბლიკას. ღაკარგეთ კაროლევა და ნა- რეაქცი.“

ფლიდეთელ მოსხუის ნაგზობი.

იყო და იყო, ღეთის უკეთესი რა იქნებო- და... იყო ერთი მხარე, ზღვის პირას მდებარე. ამ მხარეს ერქვა შლიდეთი და შიგ ცხო- ვრებდა შლიდეთის ტომი. როგორც სხვა ქვე- ყანა, ისე ესა იყო მთაბარაიანი. მთები ტყით იყვნენ შემოსილნი, ბარათ მიწუხუხუბდნენ ჩქარი მდინარეები. მელი, სერი და ვაკე, შინ- დორი, ტყე, მდინარე, ტბა, ღელე, ხევი, ჯაგები, შამბარა, გვირაბი სულ ერთი-

ბმა, სიკვდილს შემდეგ მაინც ნუ დამაგდებენ უნახავს, მე მაშინაც გავიგებ, მიამება ძმების ყოფნა ჩემს ახლოს... მშვიდობით, ღელი, ამა- ზედ შემძიმებულს ვეღარა მნახავ. არც ასე ვყოფილვარ, რაც აქიმა ჩემ წამლობაზედ სე- ლი აილა, ხეალ დილაშის ჩემი სიკაცხლე ან ჰო, ან არა, ამიტომ მინდა ჩემი უკანას- კნელი სიტყვა გითხრა: ანდერძი მაინც კაცს არ მოჰკლავს; ღელი, ჩემ დასაფლავებაზედ გი- ანდერძები რასმე, მაგრამ, ვიცი, შენ არეი- ნა გითხავს, იქნება არც კი ილოდე ჩემი სა- ფლავი, არც ძალიან საჭიროა; მარტო, აი, მანდ ბალიშის ქვეშ ოთხი მანეთი ძეგს, გა- მოიღე: სამი მანეთი შენ წაიღე კოლოი და შილაფლავი გააკეთე, მთხოვრებს დაურეგე ჩემი ცოდილი სულის გულისთვის. საფლა- ვიც აკურთხებინე, ვისიც უნდა იყოს, თუ ჩე- ში საფლავი ვერ იპოვნა: სანთელ-საქმელი გზას არ დაჰკარავს. მართი მანეთი კი აქ და- არჩინე, მღვდელს უნდა მიგსცე, რომ ჩემ- თვის ილოცოს, ეგები შემისუბუქდეს მაინც ტანჯვა საიქიასა. ეს ოთხი მანეთი არის ჩემი სამკვდრო, წვითა და ღაგეთი შეძენილი სა- რჩო-საბადებელი... ამდროს ღედა იატაკზედ იჯდა და ტიროდა, ხედავდა, რომ ქალი მძი- მეთ ლაპარაკობდა, თან ეუბნებოდა: არა, შეი- ლო, ბევრ ხანს იცოცხლებ, თუ ღმერთს ილოცავ, იმის მაღლი დაგხსნის საიქიას ტან- ჯვისა და ჯოჯოხეთისაგან, ამბობენ: ვინც ამ ქვეყნათ დაიტანჯება, ის იქ მოსვენებით იქნება; შეილო, შენ აქვე მოინანიე შენი ცოლდა უფრო, თითქმის წელიწად-ნახევარია შენ ვგრეთი ავათ-მყოფი ხარ; ნუ გეშინიან, შეილო, კარგათ იქნები, მარტო შენი გამო- უცდლობა, რომ ყური არ უგდე შენ თავსა და არა დასდინება მაგ ღეთის-რისხვა სნეუ- ლებას...

— მხ, ღელი, ყველა იმედი ტყუილია; მე

ერთმანეთში არეულიყვნენ. მთა ისეთი მაღა- ლი არ ყოფილა, რომ კაცის გონების დაჩა- გვრა შესძლებოდა; მინდორი არ იპოვებოდა ისეთი თვალგაღწეველი, რომ მგზავრი გადუღელობით შეეწუხებინოს; არც იმისთანა მდინარეები მოიძებნებოდა, რომ შიგ გასვლა კაცს ვერ მოეხერხებინოს, ტბებიც, თუ კი საღმე იპოვებოდა, თავის სიმშვენიერად უფრო გულს უმზიარულებდნენ კაცსა, მინამ გარე- შეუსაზღვრელობით დაალონებდნენ. მხო- ლოდ ერთი მხრით ამ მხარეს ერქვა მტად ერეკელი ზღვა და თვითონ მცხოვრებლების- თვისაც რომ გეკითხნა, ქვეყანას რა საზღვრა- ვსო, გეტყოდნენ: — ის ზღვა, რომელიც ჩვენ მხარეს არტყიაო. მზე ყოველთვის ამ ზღვაში ჩასდისო, ოკროს ნავით ღამ-ღამ გავს [დაცუ- რავსო და დაღ-ღილაობით ისე აღმოსავ- ლეთისკენ ამოგვიბრწყინდებოა. მართი სიტყ- ვით ამ მხარეში არაფერი არ სჩაგრავდა კა- ცის გონებას. აქ მთელი ბუნების გარემო- ცულობა იმგვარი იყო, რომ კაცს აღვიძებდა და გონებას უფარჯისებდა. მართლაც აქაური ხალხი ძალიან მახვილ-გონებანი იყო; მაგ- რამ ის უფრო ხშირათ ამ მახვილს გონებას უკუღმართს საქმეებში ხმარობდა საუბედუ- რათ.

როგორც სხვაგან, ამ მხარეშიაც ყოველი მოქმედება უმცროს-უფროსობის წესზედ იყო დაფუძნებული. ხალხისთვის რომ ამ წესზედ გეკითხნა, ის სიამაყით ასე მოგიგებდა: — უმც- როს-უფროსობა ღეთისაგან არისო გაჩნილი. ყველაზედ უფროსად თვითონ ღმერთია დაღ- გენილიო. ღმერთმა დასაბამიდაგანვე ზოგი უფროსად დასო, ზოგი უმცროსათო: უფროსს ეწოდო ბატონი, უმცროსს — მონაო. ამ საფუძვლით იქაური ხალხი სამღილ ნაწილად იყო გაყოფილი: პირველს ერქვა „ღმდმუკლიანი“ მეორეს — „ყლაპია“, მესამეს — „უგებ-უცნები“. რიცხვით პირველი ნაწილის კაცები ყველაზედ ცოტანი იყვნენ, მაგრამ თავის მხარეში იმათ მაინც ყველაზედ უფრო გაუდიოდათ. ოპაინთ

ალარა მიშველის რა, მაგონი კიდეც, რომ ეს უკანასკნელი ნახეა იყოს ერთმანეთისა, მძი- მეთა ესუნთქავ; მე თითონ მეჯავრება ეს ქვე- ყანა, სადაც ტანჯვის მეტი ვერა ენახე რა. აკვანს აქეთ. ნუ მაკოცებ, ღელი, ღირსი არა ვარ... ღმერთო, რა უბედური ვარ, ღე- დას ვერ გამოვთხოვოს შეილი... სრემლებ- თან ჩაყლაპა დაწარჩინი სიტყვები. — ახლა მშვიდობით, ღელი, ღრო არის, გაეშორდეთ, თორემ მეორეთ მოვა მოსამსახურე და გაგვი- ჯავრდება...

— არა, შეილო, იმითომ კი არ დავიწვეე უკან კოცნაზედ, მაგრამ ხეალა გნახავ, რა კოცნა გინდა, იტრუა ღედამ, მერე დაიღუნა და ჩუმათ უთხრა ქალსა: „შეილო, საწყენი კი ნუ იქნება, გენაცვალოს ღედა, და აგერ აქა- იქ ფანჯრებში გამხმარი პურის ნატეხებიო, ეტყობათ, თითონ არ უნდათ, მე მაინც მომცენ, კბილები თუშეცა მაკლია, შეილო, მაგრამ არა უჭირს რა, დავაღობ და ისე ვჭამ, ხომ იცი შეილო, რა მდგომარეობაში ვარ: ჩემთვის ეგ გამხმარი პურის ნატეხებიც ღილი ღეთის მოწყალება არის...“

— მართლა! ღელი, რატომ არ მომაგონე აქამდის, მე ხომ სულ გამოამაშტერა ამ უბე- დურმა ცხოვრებამ: აი, გამოსწი ის უჯრა ჩე- ში სტოლისა და წაიღე სულა თეთრიც და შავი პურიც; შენთვის ვინახავდი, მე ღლე- ში სამი ლუკმა პური მყოფნის, ქამას ვინდა დასდევს. მერე მიუბრუნდა და სხვა ქალებს უთხრა: ქალებო, ჩემო ღებო, ღედაჩემი მოწყალებასა გთხოვსთ, თუ ვისმე გაქეთ მტეტი პური, ნუ დაიშურებთ, მთხოვარს მოწყალება მიეციეთ. — მართლაც, მართლაც მოუფრავს, ვი- საც რამე ჰქონდა ძველი, თუ ახალი პური, სტოლის უჯრებიდან და ფანჯრებიდან. ბერ- ხანუმამ გაივსო კაბის კალთა, პატარა ტაპ- რაკი ტილოსი, ჯიბეები და გამოეთხოვა ქალ-

თავსუფროსებს ეძახდნენ და ყველაზედაც უფრო გაუმადლარი მუცლები ჰქონდათ. თუშეცა შრო- მაში ხელი არ ეჩრიადათ, მაგრამ ყველაზედ ბე- რსასკამდნენ დაამის გამო სხვისგან დაშაღებუ- ლი საზრდო ძალიან უყვარდათ. შამას გარდა „ღილ-მუცლიანებმა“ ყვირილიც ღილიცოდნენ; ყოველ საზოგადო საქმეს ფხიზლათ ადიენე- ბდნენ თვალყურსა და ამ საქმეში ისინი რომ არ გაერიათ, ერთსაღლიანქოთს ასტენდნენ: „რო- გორ თუ ჩვენ, ამისთანა მაღიანს მჭამელებს, არა გვეკითხება რაო...“ მგორე ჯურის კაცები პირველზედ უფრო ბევრნი იყვნენ. ისინი უფრო „ღილ-მუცლიანებს“ ემხრობოდნენ, იმა- თი ერთიგნათ და ყოველ გაჭირებაში „ყლა- პიები“ და „ღილ-მუცლიანები-ერთი“ ერთმა- ნეთს ეხმარებოდნენ. როცა მშვიდობიანობა იყო, მაშინ „ყლაპიებს“ ჰამაზედ თვალები გამოჰიშული ჰქონდათ: „ღილ-მუცლიანები“ შეაძლევდნენ რასმე, იმათგან იღებდნენ და თუ „უგებ-უცნებები“ მისცემდნენ საზრდოს, იმათგანაც იღებდნენ. მართი სიტყვით „ყლა- პიები“ უფროსებიდანაც სარგებლობდნენ და უმცროსებსაც ართმევდნენ საზრდოსა. ისინი ჰგვანდნენ ტურის ჯოგსა, რომელიც ღომის ნასუფრალითაც რჩება და ცხვირის ფარასაც ჰქურდავს. ამ ორ ნაწილს გარდა შლიდეთის ხალხის დაწარჩინი შეადგენდა მესამე ნაწილს, რომელსაც ერქვა „უგებ-უცნები“. ისინი თავის თავსაც არჩენდნენ და ხალხის იმ ორ ნაწილ- საც. ამ ჯურის კაცები მუდამ შრომაში იყე- ნენ და ბევრსაც აგროვებდნენ, მაგრამ ზედ კი არა ეტყობოდათ რა, რადგან იმათი ნაშრომი „ღილმუცლიანებს“ და „ყლაპიებს“ მიჰქონდათ.

ამათ მუცლებს არა გადურჩებოდათ: რამ- დენსაც ბევრს აყრიდი, ისინი იმდენს უფრო ინე- ლებდნენ. ღილ-მუცლიანებს“ და „ყლაპიას“ მუ- დამ თე-ლ-ყურიამაზედ ეჭირათ, რომ რაც შეიძ- ლება ბევრი ნაშრომი გამოერთმიათ „უგებ- უცნებებისგან“. ისინი ამბობდნენ: „ჩვენ იმ- დენი უნდა ვეცადოთ, რომ უგებ-უცნებები

სა. თითქმის შეილის უბედურება დაავიწყა სამიღლის საგაღმა, ულუფამ...

მართლა იგრძნო ავათმყოფმა ქალმა, რომ ამ ღამეს ვეღარ გააწვედა ცოცხალი. ძალი- ან შემძიმდა და იმ საღამოსვე მღვდელს გაე- ნდო, აღსარება უთხრა და ეზიარა გამოუთ- ქმელი სასოებითა, ჰკოცნიდა ჯვარს მოწიწე- ბით, თითქო იმის შემდგვისე იმის ძლიერო- ბაზედ იყო დამყარებული. ბოლოს ერთი მა- ნეთი მისცა მღვდელსა: მამაო, ილოცე ჩემი ცოდილი სულისთვისაო... მღვდელმაც გამი- ხნევა; უთხრა მაგალითები ცოდვის-მიტეგები- სა და შეფლის სულგრძელებისა: მარიამ მგვი- პტლის, მარიამ მაგდალინელის, სამარიტელის ცხოვრება და „უძლები შეილის“ იგავი და სხვა, რომელთაც მრუშება დასთარგუნეს სინა- ნულითაო. მღვდელმა არ დაიშურა არა სუ- ლიერი წამალი, რომლითაც კი სასოწარკვეთი- ლენას დაუკარგავს სულ-მოკლე და მხთალს მომკვდედ ადამიანსა და ჩაუნერგავს გულში ნუგეშსა და სასოებას საიქიოზედ, ამითი გაუ- ადილებს განსვლას ამიერ სოფლით...

მღვდელი რომ გაისტუმრა, ახლა თავის მეგობარ-ქალებთან დაიწყო გამოსაღმება; ზო- გს რა უთხრა და ზოგს რა, მაგრამ საზოგა- დოთ ეველას ურჩევდა, რომ ამ გვარ ცხოვ- რებაში და ამ გვარ სიკვდილით არ დაიხოც- ნენ, ეცადნენ როგორმე, თავიანთ თავს უშე- ველონ, იმისთვისაც ილოცონ... შემოხეიე- ნენ, ბერი იმათგანი ტიროდა, უფრო გულა- დები თავშირში უყურებდნენ, უნდოდათ ენა- ხათ სულს როგორ დაღედა ეს იმათი ამქ- რის წვერი, რომ თავიანთ დასასრულიც წარ- მოედგინათ იმის სახეში. ძალიან უნდოდათ ენახათ, როგორ მივიდოდნენ მიქელ — შამ- რიელი და სიკვდილი და სულს როგორ ამო- აძრობდნენ, მაგრამ მტერი დაგრჩეთ ხელ- ცარიელი, როგორც ისინი დარჩნენ სახტათ,

ნიადაგ შრომაში იყვნენ, დაჰყოფნენ და გვაკლდეს რაო.

„ღილ-მუცლიანს“ და „ყლაპიას“ ბევრი თავისუფალი ღრო ჰქონდათ; ამ ღროს ნი- ადაგ იმაში ატარებდნენ, რომ ყოველი საზოგადო საქმე იმათ სასარგებლოთ წარმო- ებულ იყო; ისინი ცდილობდნენ თავიანთ ქვეყ- ნის ბედი და უბედობა ხელში სჭეროდათ. ეს იმითომ უფრო ჰსურდათ „ღილმუცლიანებს“ და „ყლაპიებს“, რომ საზრდოში სხვების შემჩე- რენი იყვნენ და იმათ პატრონებათ თავიანთი თავი რომ გაეხანდათ, ძალიან სასარგებლო იქ- ნებოდა „ღილ-მუცლიანებისა“ და „ყლაპიე- ბისთვისაც“. ისინი როცა ღროს შეირჩევდნენ, „უგებ-უცნებებს“ ყურში სულ ამას ჩასძახო- დნენ: „მერა ჰხედავთ, რომ ჩვენ თქვენი მო- კეთე და მზარუნელები ვართო, თქვენთვის ვზრუნავთ, გიცავთ, გიფარავთ, თქვენი ერთ- გული მწყემსები ვართო“. „უგებ-უცნებებს“ სად ჰქონდათ იმდენი ღრო, რომ ეს სიტყვები კარგათ განესაჯათ: ისინი საზრდოს მოპოება- ში იყვნენ გამბულნი და იმისგამო რასაც „ღილ- მუცლიანები“ და „ყლაპიები“ ეუბნებოდნენ, ისინიც იმას იმეორებდნენ: „ჰო, ჰო, მართლაც თქვენ ჩვენი პატრონები და მზარუნელები ხართო.“ ღამის გამო უთქმელად ნიადაგ საზო- დოს აძლევდნენ იმ ორ ჯურის კაცებსა.

მთელი შლიდეთის ხალხს ჰმართავდა უჩი- ნარი-ხელი. ამას ჰყვანდა თავისი მოხელეები, ჰქონდა გაწყობილი სასამართლოები; სამსაჯუ- ლოები, გასამგებოები, ერთი სიტყვით რაც კეთილ-განწყობილს მთავრობას შეჰფერის, ყოველიფერი ისე ჰქონდა გამართული. მთე- ლი ხალხი ამ მთავრობის მაღლიერი იყო, მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ იმათი შესაფერი და მოსაწონი მთავრობაც იყო. „ღილ-მუცლიანი“ და „ყლაპია“ ცდილობდნენ ამ მთავრობის და- ახლოვებას. თუშეცა საზოგადო გამგეობაში იმათ არა ეკითხებოდათ რა, მაგრამ ღილი ხნით შეგონებულს „უგებ-უცნებებს“ მანცეგონათ, რომ ისინი იყვნენ იმათი მოკეთები და მზრუ-

რომ ამ მზადებაში სიკვდილის მისაგებებლად, ავათმყოფ ქალს კიდეც მოესწრო წარბანება იქ, სადაც „არა არს: არცა ჰირი, არცა ურეა, არცა სულთქმა.“ ნახეს, ალარა ფეთქავს! იმათ ეგონათ ძალიან დაიტანჯებოდა მომაკვდავი, როგორც აშინებდნენ და რომ საზარელი კი არა შესანიშნავიც არა მოხდარა, ცოტა არ იყო, იმათ, მაშინ მიხედნენ, რომ „როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო“...

მაშინვე ზოგმა თვალები დაუხუჭა, ზოგმა გულ-ხელი დაუჭირა და ფეხები გაუქიშეს (ზოგი იმათგანი ერთი თვის განმავლობაშივე გაჰყვნენ ამ ქალს თანა). მოსამსახურეს დაუ- ძახეს; პატარა ხანს უკან ორმა სერ-თუქიანმა მოსამსახურემ მოჰკიდეს თავ-ფეხში ხელები, ჯერ ისე თბილ ქალსა, და შეიტანეს საკუ- თარ „სამკვდრო ოთახში“ და წამოუწვინეს სამიოდე სხვა მკვდრებსა, სტოლზედ გაჰიშუ- ლებს...

ღილით ღედა მოვიდა, მაგრამ ვერა ნახა; უთხრეს: შენი ქალი მოკვდაო და აქიმი სჭრი- სო, — მოატყუეს. ღედას ელდა ეცა, ჩაჯდა იქ- ვე ალაყაფის კარებში და პატარა ხანს მოი- ტირა ქალი; მერე გამოსწია ცუხტუხით ქალა- კისკენ, თან ტირილით მოღუღუნებდა: ნეტა- ვი ერთხელ მაინც კიდეც მენახა, თუნდა მკე- დარი, ჩემი შეილი, მამას დავატარებდი, გე- ნაცვათ, მკვდარს რაღას სტანჯვენ; რაღა გა- ქრა უნდა, განა ისე არ შეეტყობა მკვდარსა და ცოცხალსა...

რასაკვირველია, მკითხველი მიხვდა, რომ ეს უნებური სხვერპლი... იყო ზღაბა ბედ- კრულადის ასული, ჯერ ოსამარა, მერე მონა- ვარდისა, ბოლოს შამინკათ მიცვალებული... ეს ბებერი იმის ღედა მღისაბედი (ბერ-ხანუმა) იყო...

ნეგოციები. „დიდ-მუცლიანს“ და ულაპიას ერთი და მტრული საზოგადო საქმე ჰქონდათ ხელში ჩაეარდნით და ამ საქმეს თავისებურათ აწარმოებდნენ. ისინი ხან-და-ხან უნდა შეგროვიდნენ იყენებდნენ შლიდეთის დედა-ქალაქში ისიქეთაში და იქ უნდა ამოერჩიათ თავისი მამასახლისი. თუ რამ საზოგადო მოქმედება მოხდებოდა ამ ქვეყანაში, ის მიუცილებლად „დიდ-მუცლიანებს“ და „ულაპიებს“ უნდა მომხდარიყო. „შეგ-უტყვებენ“ ვერაფერს საქმეში ვერ გაეროდნენ.

„დიდ-მუცლიანებისა“ და „ულაპიებისა“ მამასახლისის ამორჩევა.

I.

მრთხელ ძველ დროს ისიქეთას ქალაქში ვიყავი და იქ ბევრი ხალხი იყო შეგროვებული. შოველგან შეხედებოდი პირ-მოგძო და ნიკა-წერილა კაცებსა. მსენი იყვნენ „დიდ-მუცლიანებისა“ და „ულაპიების“ ჯურის კაცები. ნა-შუაღდევს თითქმის ყველა „დიდ-მუცლიანები“ და „ულაპიები“ ჯგუფ-ჯგუფად გამოეფინებოდნენ ისიქეთას მშენიერს მეიდანზედ და ხეების ჩრდილში ზოგი რას ლაპარაკობდა და ზოგი რასა.

მრთხელ საღამოს მეიდანზედ დავსვირბოდი. „დიდ-მუცლიანების“ და „ულაპიების“ ხარხარი შორს გაისმოდა. პატარა ხანს შემდეგ მე ხის ძირს ჩამოვჯექი. ამ დროს თავს წამომადგა ერთი ჩემი დიდ-ცხვირა ნაცნობი; ის იყო ზუნებთი ხეპრე, მაგრამ იმის პატარა მოციმიც თვალბეჭდში ჰქუა გამოემტყველებდა. ამ ჩემს მეგობარს ერქვა მარ-ცეცხლა. ის საზოგადოებაში რხმალს არ იშორებდა და, თუ ვინმე წინააღმდეგ ეტყოდა, მაშინვე რხმალს გაიღებდა: „ზაჩუმი, თორემ თავს წაგადებინებო.“

ზოგჯერ სრულებით უბრალო სიტყვებზედ რაღაც ეშმაკური ქარი წამოუბერავდა, პირ-ზედ აენთებოდა და ხუთი კაციც ხელში ევლარ დაიმაგრებდა. მარ-ცეცხლა რხმალ-ამოდებული შეუტყვებდა გამჯავრებელს: „ზამი-შვით, მოველაჲ მაგ მ... მოველაჲ! როგორ-თუ მაგან ამისთანა სიტყვა მკადრაო.“ მართლაც ამ ცხარი კაცისა ყველას ერიდებოდა. მოდი და ნუ მოერიდები ამისთანა ფოცხვერსა: ერთი უბრალო სიტყვისთვის რხმალს გი-ვლევებს კოსროში... თუ გაჯავრებულს გულ-ზედ არ შეხედებოდი, მარ-ცეცხლასთანა გულ-ჩვილს კაცს ძვირად იპოვნიდი: კეთილი მოსიყვარულე, სიტყვის ამსრულებელი და ერთი ბეწვა ეშმაკობაც გულში არა ჰქონდა. ხან-და-ხან, კიდევ მივირბოდა: სად შლიდეთის მხარე და სად ამისთანა გულ-გახსნილი კაცი. ამას თლიდეთლების არა აცხიარა—მეთქი, ამისი უბედურება იყო მხოლოდ ისა, რომ უბრალოდ გაცხარება იყო. მაგრამ როგორც მალე აენთებოდა, ისე მალეც გაჰქრებოდა იმისი სიტყვები. ღამეშივედ გულზედ ბევრ-საც ჯავრობდა: ასე ცოტაზედ როგორ გაე-ჯავრდო!... მარ-ცეცხლა ჩემ გვერდით დაჯდა.

— რასა იქ, როგორ შენ, როგორ თქვენი მომხრეები?—ვითხებ მარ-ცეცხლას.

ჩემ კითხვებზე იმან წვერ-ულღაშზედ მარ-ცხენა ხელი გადაისვა, მარჯვენა ხელი რხმალზედ დაიდვა და სიამაყით წარმოსთქვა:

— მარჯვეთ გახლავართ. ძველი მამასახლისის საქმე წასულია. მე უქველათ, უნდა გამოეცვალოთ: ორი მესამედი ჩვენ ვართ და ერთი—ისინი. ამ ჭამად თლიდეთლები ორ ნაწილათ იყენენ გაყოფილნი. მრთხელ მამასახლისის მხარე ეჭირა; მეორე კი იმისი მოწინააღმდეგე იყო. მარ-ცეცხლა ამ უკანასკნელს ნაწილს ეკუთვნოდა და ძველ მამასახლისს საშინლად ემტერებოდა.

— იქ რა ამბავია?—მკრა იდაყვი და მკითხა იმან.

ამ დროს ჩვენ მოშორებით მეიდანზედ ერთ ბუჩქნარის ძირში კაცმა წამოიწია, თითქმის წამოჯდომა უნდოდა. იმის გვერდით ისხდა ორი სხვა კაცი, რომლებსაც ძველი მამასახლისის მხარე ეჭირათ. ზემოხსენებულმა კა-

ცმა როგორც კი დაგვიანა, ისეც ბუჩქნარში მიიშალა საჩქაროდ.

— აქ, რაღაც ამბავი უნდა იყოსო, მითხრა მარ-ცეცხლამ.— ის ჩვენი მომხრე იმითთან რათ არის? თუ ეს არ შეეიტყე არ შეიძლება. მარ-ცეცხლა წავიდა ამის შესატყობათ. რაკი იმისი წასვლა შენიშნეს, დაწოლილი კაცი, მაშინვე წამოდგა და სამთავე მოურიდებლათ საუბარი გამართეს. მეორე დღეს წაველი ერთ ჩემ ძმა-კაცთან, რომელიც იყო ძველი მამასახლისის მოწინააღმდეგის თავი. იმას ერქვა შურსუხა, იყო ნასწავლი სხვა განათლებულს ქვეყანაში და საზოგადო კეთილი საქმე სხვა-ზედ უკეთ ესმოდა. შურსუხას წარბახსნილი შუბლი და ცოცხალი თვალები ამტკიცებდა იმის უმანკო პატიოსნებას. იმისი პირის სახე მუდამ მხურვალე გრძობით იყო ანთებული. პატიოსანი გული სულ თავის ქვეყნის სასიკეთოდ უცემდა. მხოლოდ ერთი მძიმე ნაკლულივანება ჰქონდა: მეტის მეტი გულკეთილობისგამო ხერხი აკლდა და ვერც გულ-დასმით მოქმედებდა ხოლმე. დილას რომ ერთი ქარი მოუბერავდა და ერთ მხრით გაიტაცებდა, ს-ღამოს მეორე ქარი სულ სხვა მხრით მიაქანებდა...

შურსუხასას ბევრი სტუმრები დამიხვდნენ. თვითონ მასპინძელი გაცხარებული დადიოდა თავის დარბაზში. მრთხელ მარ-ცეცხლა იჯდა და ხმა-მალა ილანძვებოდა. ის აღე-ლებული ჰქიცხავდა იმ კაცსა, რომელიც წინააღმდეგ ბუჩქნარის ძირში მეიდანზედ ტანს ავარჯისებდა: ხან დაწებოდა, ხან დაჯდებოდა. მარ-ცეცხლას შეეტყო, რომ ის კაცი მამასახლისის მხარეზედ გადაყვანათ. როცა იმის ლანძღვით გული იჯერა, მერე თავისთავს ნუგეში დაუწყო: — კიდევ მიხარია, რომ იმ ბაზიბუზუყისგან თავი ვისვენით—ამბობდა ხმა-მალა.— იმისგან რომ ხეირი არ იქნებოდა, ეს წინათვე ვიცოდი. სახლში ლუკმა პური არ მოეძვია; რასაკვირველია, ის იმას მიემხრობოდა, ვინც ლუკმა პურს მიაწოდებდა. ამბობენ, ძველი მამასახლისი ერთს კვიცს დაპირებოდა. ღმერთი რჯული, კვიცს რომ ქათამი დაეძინო, ეხლავ ჩვენ მხარეზედ გადმოვიყვან; მაგრამ ჰხათ!.. დაიკარგოს! მაგისთანა სული კაცები ჩვენ კეთილს საქმესა კიდევ გასერის. ჩვენთვის მართა გამარჯვება კი არა კმარა, გამარჯვებასთან თვითონ პატიოსნება ჩვენ მხარეზედ უნდა იყოს.

თუმცა მარ-ცეცხლა ასე ამბობდა, მაგრამ საქმე კიდევ სხვა რიგათ მიდიოდა. ღლე რ გავიდოდა, რომ ოთხი, ხუთი კაცი არ მოკლებოდა შურსუხას მომხრეებს, ასე რომ, როცა მამასახლისის ამორჩევის დრომ მოაწია, ერთი მესამედი ლა თუ დარჩნენ მოწინააღმდეგეები, მეტი არა.

როგორც გამოვიდა ძველ მამასახლისს მთელ თავის მამასახლისობაში ერთი ხეირანი საქმე არ გაუკეთებია: სვამს, სჭამს და უფრო სძინავს. რა მოუხდება და რა არა იმს ქვეყანას, ამას ვერა სცნობს. იმასა ჰგონია, „ულაპიები“ და „დიდ-მუცლიანები“ თუ გააძრო ზოლმე თავის ნოყიერი სადილებითა, ის აიის მეტი არა უნდა რა! მაშინ როდესაც იმისი ვალია საზოგადო კეთილმდგომარეობისთვის იზრუნოს. თუმცა ამგვარებისა ძველმა მამასახლისმა არა იცისრა, მაგრამ თავის მიწა-მუ-ლეების ხასიათს მაინც კარგათა სცნობს ისე იქცევა, როგორც იმით მოსწონთ და ამისგამო თითქმის ყველას ჰქუიან კაცად მაჩნია. როგორც სჩანს ჰქუიანობა სხვა და სხვა ხალხს სულ ახვა რიგათ ეყურება. შლიდეთის მხარეში ძველს მამასახლისს იმითმ ეძახოდნენ ჰქუიან კაცსა, რომ ხშირად მიპატიჟებოდა იცო-და ხოლმე „დიდ-მუცლიანებისა“ და „ულაპიებისა“, კარგს მსუქანს ძროხას დაუკლავდა ხოლმე და სადილს შემდეგ იქნებოდა ერთი კვიცს ეწუქებინა. ღამაჲს უკრებულ კაცი მეორე დღეს მთელს შლიდეთის მხარეში გაჰქივოდა: „მკ, ჩვენი მამასახლისისთანა ჰქუიანი კაცი

არ მოიძებნებო.“ ამისთანა კაცს ოლონდ კი გადაუდგე რამე, თორემ შენს სახელს ცაში ააფრენს. ისინი სუნით ეძებენ საესე სუფრას, სა-და-წაატყდებიან, იქ მიადლებიან და ამგადადომის შემდეგ თუნდა ქვა-ქვანდაც ნუ დარჩენილა: ამისი დარდი აღარ აწუხებთ. ბრალი იმ კაცებისა, რომლებსაც სხვისი სადილი არ უყვართ და შინ ხმელი საქმელის მეტი არა აქვთ რა. ისინი, რასაკვირველია, უფრო იყვირებენ საზოგადო კეთილ-მდგომარეობაზედ, რადგანაც საზოგადო კეთილ-მდგომარეობის დამყარებით, იმათაც მიეცემათ კეთილმდგომარეობა. ღვთის წინაშე შლიდეთის ქვეყანაში ამგვარი კაცები ძალიან ცოტანი იყვნენ.

შურსუხა იმ დროს მეტად აღელვებული იყო; იმისი თვალი არც დღე და არც ღამე არ დაინახებოდა. იმას რომ დღეში ათჯერ შე-მოვრბინა მთელი ისიქეთა, მაინც ცოტა იყო. აქ ამ ფლიდეთელს ამხნეებდა, რომ ჩვენ მოვიგებთო, იქ ვისმე აჯერებდა, თუ რა სარ-გებლობა იქნებოდას უმაქნისი მამასახლისი რომ გამოეცვალოთო. ის ძალიან დამედებული იყო თავის მომხრეებზედ და, როცა ვკითხავდი საქმის გარემოებას, ყოველთვის პირნათლად მეტყუ-და ხოლმე: „ჩვენ მოვიგებთო.“ მე მაინც, კვიც მკონდა, რომ ფლიდეთლებისგან ხეირი არ გამოვიდოდა. მართლაც უმეტესი ნაწილი ფლიდეთლებისა სულ ქვე-ქვეშაობდა და დროს უყურებდა. ისინი იმის ყურ-მოკრილ ყვებთ ხდებოდნენ, ვინც რასმე ხელში შეა-ძლევდა. იმათ მოქმედებისთვის რომ თავი-ლი გედევნათ, სიცილით კუჭი არ შეგრ-ჩებოდათ. ისინი მელასავით ყურ-აკვეტილე-ბი ხან აქ დასუნტულდნენ და ხან იქა, რომ იქნება რამესთვის ყური მოეკრათ და თავის ზომხრეებისთვის გადაეცათ. ამისგამო გზირება გაუსხლტლად ამ ორ მოწინააღმ-დეგებ შუა მოგზაურობდნენ ხოლმე. შურსუ-ხას მომხრეები ზომათ გაისვირბდნენ ხოლმე მამასახლისის მხარესკენ და მამასახლისის მო-ხრენი შურსუხას სახლისკენ. შურსო ეს მაკ-ვირებდა, რომ შურსუხას სახლში ასეთი კა-ცები დადიოდნენ, რომლებსაც ზომათ მამასა-ხლისს მხარე ეჭირათ; მაგრამ შურსუხას სახ-ლში კი მამასახლისს ლანძღავდნენ და თავი-ანთ თავს შურსუხას მომხრეებთ სთვლიდ-ნენ; შურსუხა კი იმდენათ გულ-კეთილ იყო, რომ იმათი სიტყვა სჯეროდა და თავის გულის-პასუხს არ უფარავდა. წინათვე ეხედავდი, რომ იმას ამდენი ხლებული უცებ შემოეცლებოდა. შურსუხას ამ ბაზიბუზუ-ყების იმედი არ უნდა ჰქონოდა. როგორც ბოლოს შევიტყეთ ესენი ფუთკრებსავით იქით გაფრინდნენ, საითკენაც თავილი მოეჩვენათ. ამითი ცხადათ დამტკიცდა, რომ ფლიდეთ-ლებს მამასახლისის სადილი უჩრჩენოდათ ქვეყნის სასარგებლო საქმესა.

პოლიტიკური უფლება დედაქალაქისა.

დედაქალაქის მდგომარეობაზე საზოგადოება-ში, იმისი განათლების საჭიროებაზე, იმის მომზადებაზე შრომისთვის, ახლანდელს დროს მრავალსა სწერენ შრომის მწერლები და მე-ცნიერნი, ჟურნალები და გაზეთები. დედაქა-ქის ემანციპაციას (თავისუფლებას) ამას წინათ სხვა აზრი ჰქონდა, ახლა სხვა აზრი აქვს. უწინ ამ სიტყვას სამრახ მნიშვნელობას აძლევდნენ. ახლა ემანციპაცია ისე ესმით, რომ დედაქალაქს უნდა ღონისძიება მიეცეს, რომ თავისი შრომით დააწიოს საკუთარი ცხოვრება, და განების გახსნით ზნობითი დამოუკიდე-ბლობა მოიპოვოს, ასე რომ ამ გვართ კე-თილ-მოქმედ გაველნა იქონოს საზოგადო-ებაზე. მართალია, ახლაც იპოვებენ იმისთანა პირნი, რომელთაც ემანციპაცია უწინდელის აზრით ესმით; მაგრამ უკეთესი, გონება—გახ-სნილი საზოგადოება ასე აღარ ფიქრობს. დროს მიმართულება ამ უკანასკნელების აზრ-ზედ არის დამყარებული. რას ვხედავთ ამ დროს შრომაში? ვხედავთ, რომ ყოველს მე

როპიულს სატახტო ქალაქებში წესდება, დე-დაქალაქის შრომის საზოგადოებრივი უფლები-თაც საგნათ აქვთ, რომ იმათ გზა გაეხსნას აქამომდე იმათთვის დაზოგადოების მოქმედების-თვის, რომ ამ გვართ იმათ საკუთარი ღო-ნისძიების მოპოვებით თავიანთი თავი უზრუნ-ველ ჰყონ და თავიდან მოიშორონ სიღარი-ბე, რომელიც დიდი დამბარკოლებელია ზნე-ობისა. ამ გვართ საზოგადოებაებს დიდი იმე-დით შესტკერიან ყველა პარტიებისა და ყვე-ლა აზრების პირნი, შემწობას აძლევენ ყვე-ლა კლასები, თვით მეფენი, მაგალ. ანგლიის კოროლევა, პრუსიის კაროლის სახლობა და სხ., რომელნიც იმათ მიჰყვნენ თავიანთს მფარ-ველობას. ასეა ამერიკის უმრავლესს ქალა-ქებში, რომელთაც ამ საგანში მაგალითი უჩვენეს შრომას. შევლას ესმის, რომ უპი-რატესისაგანი ამ საქმისა არის, როგორც ზე-მოთაცა ვთქვით, გონიერული აღზდა მდედ-რობითის სქესისა, ღონისძიების-მიცემა მოსა-პოვებლათ საკუთარის შრომით საზრდობისა და უზრუნველობისა. აი რაში მდგომარეობს დე-და-ქალაქის ემანციპაცია.

ჩვენ ამ საგანზე ახლა არას ვიტყვით. ჩვენ გესურს ჩვენს მკითხველებს წარმოუდგინოთ ერთი აზრი, რომელზედაც ახლა ხშირი საუ-ბარი აქვთ შრომაში და რომელიც თვით თავი—საგნად მომდინარეობს—ესე იგი, დედა-ქალაქის საპოლიტიკო უფლებებზედ. ეს აზრი მომატებულიათ არის გავრცელებული ამერი-კის შეერთებულს შტატებში და ანგლიაში, თუმცა წარმატება ამ აზრისა ერთი არ არის ერ-თსა და მეორეს ქვეყნებში. აქ ჩვენ გესურს დაუპირდაპიროთ ერთი მეორეს სხვა და სხვა აზრები, რომლებსაც ანგლიის ჟურნალები აღგანან. იმათი ბაასი და მსჯელობა შესანი-შნავია: აქედამ შეიძლება ადვილათ მივხედეთ, თუ რა მდგომარეობაშია ახლა საგანი ემან-ციპაციისა და რა იმედი და სურვილი აქვთ ემანციპაციასზედ მოწინავე პირებს. ამერიკა-ზედ კი ეს უნდა შევნიშნოთ, რომ ძანხასის შტატში დედა-ქალაქებს კიდევ მიენიჭათ კენ-ქის ანუ აღმორჩევის უფლება. მიტით აგრე-თვე, რომ მაშინგტონის კონგრესშიაც ლაპა-რაკი იყო, რომ დედა-ქალაქებს მიეცეს კენქის უფლება. ეს აზრი კონგრესში პირველათ შე-მოიტანა პენსილვანიის სენატორმა პოუენმა. ამ დროს ერთმა წევრმა, მისტერ ანტონიმ წარმოსთქვა, რომ რასიმართლეა ამ უფლე-ბის არ მიცემა მდგომარეობითის სქესისთვის? თუ დედა-ქალაქს მეფობა ეძლევა, მაშ რატომ არ უნდა მიეცესო კენქი? მისტერ მილოლიამ-სი იმ აზრისა იყო, რომ დედა-ქალაქს პოლი-ტიკური უფლება არ უნდა მიეცესო, რადგან-ც ისინი სხვა და სხვა პრივილეგიას მოკლ-ებულნი არ არიანო; ამასთანავე იმან შენიშნა, რომ ამერიკელნი ყოველთვის პატივისცემით უმზერდნენ და ეპყრობოდნენ დედათ-სქესს. ამ კომპლიმენტის შემდეგ იმან სრულებით მოულოდნელათ დაუმატა, რომ თუ დედა-ქა-ქებს ხმა მიეცათო, მაშინ ისინი თვითოველს საოჯახო სახლს ნამდვილ ჯოჯოხეთათ გადა-აქცევენო. პონგრესში ხმები გაიყო: როდეს-საც კენქი დაითვალა, მაშინ აღმოჩნდა, რომ დედა-ქალაქის მხარეზე იყო 9, წინააღმდეგს მხარეზე 37. ემანციპატორები დამარცხდნენ.

მიხეზი საუბრისა ამ საგანზე ანგლიაში ის იყო, რომ შარშან ქვემო-პალატაში პეტრია შემოიტანა გამოჩენილმა ანგლიის მწერალმა და პარლამენტის წევრმა, ჯონ სტუარტ მილ-მა. პეტრია მრავალითაგან იყო ხელ-მოწერი-ლი. ის ითხოვდა, რომ დედა-ქალაქებს, ანუ რომელსამე იმათს ნაწილს, მიენიჭოს პოლი-ტიკური უფლება, რომელთაც სარგებლობენ საზოგადოების სხვა კლასები. პეტრია ამ-ბობს: ანგლიის სჯული აღმორჩევის უფლე-ბას აძლევს ყველა სახლის-პატრონებს, მიწის-პატრონებს და სხვა და სხვა ქარხანების მკა-ტრონებს, რომელთაც დაწესებული ხარჯი შეაქვთ ხაზინაში. ჩვენ მხედველობაში უნდა

ვიქონიოთ, რომ ანგლიაში მრავალი არი-
ან დედათაგანი, რომელთაც მამულები აქვთ,
რომელნიც გამგებობენ სხვა და სხვა ქარხანებს,
აძლევენ დიდ ხარჯს; მაგრამ პოლიტიკურს
უფლებად იმათ უარს ეუბნებიან. აქედან ეხე-
დათ, რომ სჯული თვის თავსწინააღმდეგე-
ბა... ეს წინააღმდეგობა უნდა მოიპოვოს სიმარ-
თლის გულისთვის და სახელმწიფოს სასარგე-
ბლოთ.

ამ პეტრიკამ შობა დიდი დღეა და აღ-
ბრა მკაცრი ბაასი, რომელშიაც ზოგი თანახმა
იყო პეტრიკისა, ზოგი წინააღმდეგი. ბაასი აქა-
მამდე არ შეწყვეტილა. ჩვენ შივაქცეთ ყუ-
რადღებას ამ შემთხვევაში შემდეგს გაზეთებს:
Saturday Review, Spectator და Liverpool
Mercury.

Spectator-ის აზრით, არიან, რა საკვირვე-
ლია, დედაკაცებში ნიჭიერნი და მომზადე-
ბულნი, მაგრამ ამ გვარნი დიან იშვიათნი არი-
ან. რა იქნება რომ ერთის გულისთვის ასი-
დგან ოთხმოცდა ცხრამეტსაც პოლიტიკური
უფლება მიეცეს? მაშინ სჯულის წინააღმდე-
გი გაუღენა პოლიტიკაში გააღიერდება; თვით
ოჯახებში ჩხუბი და ვაი—ვაგლახი მიუცოლე-
ბელია. დედა-კაცის ხმაზედ ერთის მხრით მო-
ქმედება ექნება ქმარს, მეორის მხრით—შვილს,
მკურნალს, მღვდელს; ქალზე—იმის მოვა-
ლეობას მამისადმი და იმის სულის გრძობას;
ის უნდა უმზერდეს საპოლიტიკო საგანს, რო-
გორათაც ბრძოლას მორჩილებასა და სიყუა-
რულს შორის. აი მიზეზი, რისთვისაც ჩვენ
ეწინააღმდეგებით პეტრიკის მოთხოვნისთვის,
ხალხს აქვს სამართალი ჰკითხოს პეტრიკის
შუამდგომელი: შეგიძლიანთ დაამტკიცოთ,
რომ ჩვეულებრივის ნიჭისა და განათლების
დედა-კაცებს აქვთ საპოლიტიკო დამოუკიდე-
ბლობა? დაეგონებოდეთ ესა და დაეთანხმდებით.
აქამომდე მუშა ხალხს ეს უფლება არ მის-
ცემია, რადგანაც იმათი ნიჭიერება საპოლი-
ტიკო საქმეებში ვერ დაამტკიცეს. თუმცა
ისინი უმცარნი არიან, ეს კი უნდა ვთქვათ,
რომ იმათთვის უფლების მინიჭებას უფრო
საფუძველი აქვს, ვიდრე იმ დედა-კაცებისათვის,
რომელნიც იმათზე ბევრით მაღლა დგანან
განათლებით, მაგრამ დამოკიდებულნი არიან
სხვებზე.

ეს Spectator-ის სტატია ამ საქმეში უფრო
ზომიერია, ვიდრე წინათ მოხსენებულის გა-
ზეთის აზრი. მაგრამ იმას მკაცრი პასუხი მის-
ცა დედათ-სქესის მოსაჩივრებარა და სხვა-
თა შორის თვით დედა-კაცმა მისს ძობაში.
ძობი უჩვენებს Spectator-ის აზრებში წინა-
აღმდეგობას: თუ იმათ ნიჭი აქვთ, მაშინ ამ ნი-
ჭიერების აღმოჩენა თვით საქმით რატომ არ
შეიძლება? ძობის სიტყვით მხოლოდ ისინი
არ სჯიან ლოგიკურათ, რომელნიც ან სრუ-
ლებით უარ-ჰყოფენ დედა-კაცის პოლიტიკურს
ნიჭს, ან თანახმანი არიან ამაზე და ითხოვენ
იმის საქმეში გამოყენებას. მისს ძობაში ამბობს,
მთხოვნელის დედათ-სქესის საგანი ის არისო,
რომ ქალებში განიღვიძოს იმ თვისებებმა,
რომლებზედაც Spectator-ი აფუძნებს პოლი-
ტიკურს უფლებას და რომელთა გაღვიძება შე-
საძლებელია მაშინ, როდესაც ამ უფლების
სარგებლობის ღონისძიება იმათ მიეცემათო.
დედა-კაცებს სურთ მოითხოვონ უშუამდგო-
მელი წარმომადგენლობა. თვით Spectator-ი
ერთს თავისს სტატიაში ამტკიცებს, რომ
დედა-კაცების უბედურება, რომლის მიზეზნიც
კაცნი არიან, აურაცხელიაო. ბევრი მაგალი-
თი შეიძლება წარმოადგინოთ ამ გვარის
უბედურებისა: იმისი მოსაბოძა მანამდის არ
შეიძლება, ვიდრე მდგრადობითი სქესი თვი-
თონ პოლიტიკაში პირდაპირს მოაწილეობას
არ მიიღებსო.

(შემდეგი იქნება.)

**წარსულს ვალს ყველაზედ შესანიშნავი
რა მოხდა?**

(შენიშვნა ჰორჯი ლენჩი ლუისისა)

მინც ისტორიასა სწავლობს, იმან კარგათ
იცის, რომ ძნელია კაცმა განიცადოს ის წა-
მი, როდესაც ახალი ეპოქა იწყება. ისტო-
რიული ცვლილებანი ისე დაფარულად და
შეუმჩნევლათ მოხდებიან ხოლმე, რომ დრო-
ების საათის ისრის მოძრაობა ჩვენ შევიძლი-
ან მარტო ვიგრძნოთ, და იმისი ხილვა კი არ
შევიძლიან. საათი დანიშნულია, მაგრამ
დროების მიმდინარეობა არ შესწავდება. ამის
გამო თანამედროენი იშვიათად მიხვდებიან,
თუ რა მნიშვნელობა აქვთ იმ საქმეებს, რომ-
ლებიც იმათ თვალისწინ ჰხდება. ისტო-
რიის საფუძვლიანი სწავლა აძლევს ღონის-
ძიებას, რომ კაცმა ფილოსოფიური შეხედუ-
ლობით ჰსცნოს დიდი მნიშვნელობა იმ ფაქ-
ტებისა, რომლებიც თითქმის შეუნიშნავენ
არიან. იმავე ისტორიის სწავლით ჩვენ შე-
ვიძლიან დავაფასოთ ერთი იმ უდიდეს საქმე-
თაგან, რომელიც მოხდა 1866 წელს. ამ შემ-
თხვევამ არ მოახდინა დიდი მღვდლარება; ამა-
ზე არაფერი ითქვა რა არც გაზეთებში და
არც საზოგადო მიტინგებზედ (ყრილობაზე);
მაგრამ უეჭველია, მოვა დრო, როდესაც ამ
შემთხვევაზე დაიწყებენ ლაპარაკს, რადგანაც
ეს შემთხვევა გახდება დედა-ბოძათ, რომელ-
ზედაც ახალი ეპოქა შემოატრიალდება. რომე-
ლია ეს შემთხვევა? ჰკითხეთ ყველა ყურნა-
ლისტებს, რა მოხდა წარსულს წელს ყველა-
ზე უფრო შესანიშნავი? ჰკითხეთ, რამ უფრო
აძლევა ხალხი შარშან? თქვენ მაშინვე გი-
პასუხებენ: ეს იყო პირუტყვის ჰიკრი, მოძრა-
ობა რეფორმის სასარგებლოდ ანგლიაში, ფე-
ნიქების ადგომა, ჰონსონისა და კონგრე-
სის ბრძოლა, შეიდი დღის ომი, რომელიც
გათავდა ანგლიის დამარცხებით და იმისი
მერმანის კავშირად გამოიციხვით და და-
ბოლოვებითი განთავისუფლება იტალიისა
ანგლიის უღელისაგან. ყველა ამ შემთხვე-
ვებს, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელო-
ბა აქვს. მაგრამ ფილოსოფიურად განთ-
ლებულის კაცისთვის უფრო მრავალმნიშ-
ვნელოვანია ერთი შემთხვევა, რომელიც
ვერ მიიტაცებს კაცის ყურადღებას გარეგნის
სიბრწყინვალით და ჩვეულებრივის, უფიქრე-
ლის კაცისათვის გაუგებარი ღარჩება. ეს შემ-
თხვევა არის მუშების კონგრესი ჰენერში.
იქნება ბევრს მკითხველთაგანს არც კი გაგო-
ნოს ამ შემთხვევაზედ, რადგანაც ამან მღვლ-
ვარება ვერ მოახდინა ჩვენ მღვდლარე დროს,
მაგრამ ამა კარგათ ჩაუყვირდეთ გონებით ამ
შემთხვევას და თქვენ დაწმუნდებით, რომ
ახალის ისტორიადამ მხოლოდ ორს ფაქტსა
აქვს ამასთან თანასწორი მნიშვნელობა. აი
ეს ფაქტები: საქალაქო საზოგადოების გაძ-
ლიერება; მეთორმეტე საუკუნეში და მეორე—
საგენარალო შტატების ყრილობა 1789 წელს.
პირველი შემთხვევა აღნიშნავს იმ დროს,
როდესაც მესამე წოდების პოლიტიკური არსე-
ბობა დაიწყო; ხოლო მეორე შემთხვევით და-
იწყო რევოლუციური ეპოქა, რომელმაც
მთელს მეროპაში დემოკრატიული იდეები
გავრცელა. მეთორმეტე და მეთორმეტე სა-
უკუნეში ღირსეულად ვერაინ დაფასა ამ
შემთხვევების მნიშვნელობა. მაგრამ ჩვენ კი
აღვიღად შევიძლიან ღირსეულად დავაფა-
სოთ მუშების კონგრესის მნიშვნელობა, რა-
დგანაც ამისი მიზანი ის არის, რომ დაბო-
ლოვოს დიდი ხნის ბრძოლა კაპიტალსა და
შრომას შორის, ის ბრძოლა, რომელიც შე-
ადგენს ჩვენი დროს უდიდესს საქმეს. მესამე
წოდება შესდგა მაშინ, როდესაც მოქალაქეებმა
ერთად შეერთება დაიწყეს. ახლა მუშები იწ-
ყებენ შეერთებას და იმათი უდიდესი ძალა
გამოიჩინეს თავის ძლიერებას, თუ კარგათ იქ-

ნება გაწყობილი. სოტა-სოტათი ისინი ამ-
ნათვის ემზადებიან. იმათ დაწესეს სახელოს-
ნო კავშირები, ესლა უფრო ვრცელი პლანი
შეადგინეს მუშებმა. ჰერ ადგილობრივ კავში-
რს შეადგინდნენ ხოლმე, მერე საზოგადო
კავშირებიც შეადგინეს და ესლა მსოფლიო
კავშირის შედგენას ცდილობენ. ისინი შეუ-
დგენენ მთელი მეროპის ხელოსნების კავშირის
შედგენას; ამ სახით „ურთიერთ-ხალხების
მუშების ასოციაციას (ამხანაგობას),
(международная ассоциация рабочих) ხელ-
ში იქნება მთელი მეროპის ხელოსნობა. ამ
ჟამათ ასოციაციასა ას სამოცი ათასი წევრი
ჰყავს ანგლიაში, შრანციაში, ბერმანიაში,
შვეიცარიაში და ბელგიაში. იმასა აქვს კარ-
გი გაწყობილობა (ორგანიზაცია) და დაუცხრო-
მელი კავშირი სხვა და სხვა ქვეყნებთან. მე არა
მაქვს არც დრო და არც ადგილი, რომ დავწო-
ლებით ავწერო, რაც მოხდა ჰენერის კონგრე-
სში. მე მარტო იმას ვიტყვი, რომ ეს შემ-
თხვევა არის დიდად შესანიშნავი და მომას-
წავებელი. ამ კონგრესში მუშებმა წარმოად-
გინეს ორი პლანი, ანგლიის პროექტი ით-
ხოვს, რომ ხელოსნები განთავისუფლონ კა-
პიტალის დამჩაგრელის გავლენისაგან და შე-
ადგინონ მსოფლიო კოაპერაცია მქვი არ
არის, რომ ამ მოკლე დროში ვერც ერთი
პლანი ვერ ასრულდება. მაგრამ ყოველი
გონიერი კაცისთვის ცხადია, რომ თუ მთელი
მეროპის მუშები შეერთდნენ, ისინი, — გვიან
იქნება, თუ ადრე მიიღებენ ერთ-ერთს ამ
ორს პროექტში (და იქნება ორივეც მიიღონ)
და რასაც ისინი გადასწყვეტავენ, ის მიუ-
ცილებლად კიდევ ასრულდება.

**ნუ-იორკის შტატში სასწავლებლები რა
მდგომარეობაშია? ნუ-იორკის გაზეთებში**

ამ შტატის უმთავრესი ინსპექტორის ანგარი-
ში არის დაბეჭდილი, რომლითაც ის საზოგა-
დობას აცნობებს, თუ რა მდგომარეობაშია
ნუ-იორკის სასწავლებლები. ამ ანგარიშიდამ
გამოკრებთ შემდეგს სტატისტიკურს ცნო-
ბებს: 1866 წ. ნუ-იორკის შტატში საზოგა-
დო სასწავლებლებზედ 6,682,935 დოლარი
დაუხარჯავთ. ეს ფული სანახევროთ ქალაქის
შკოლებზედ არის დახარჯული, და დანარჩენი
ნახევარი სოფლების შკოლებზედ. 1865 წ. ამ
საგანზედ სახარჯავთ 5,735,460 დოლარი
იყო გადადებული. 1866 წ. ნუ-იორკში 11,547
შკოლა ითვლებოდა. შკოლების სახლები და
მთთვის მიჩენილი მიწა 12, 254,957 დოლა-
რით ღირს.

5-დამ 15 წლის რომ იწყება იმისთანა ყმა-
წილი შტატში 1, 364,675 არის. ამ რიცხ-
ვადამ მმართველობისაგან დაწესებულს სასწა-
ვლებებში 1866 წ. 913,309 შევირდი და-
ციოდა; კერძო შკოლებში 61,754. ამისთა-
ნა შკოლები 1,394-ამდის არის. — 36,465 შე-
ვირდი აკადემიებში და 1,541 მაღალს შკო-
ლებში (colleges) ისმენდა კურსსა.
შოველ დღე საზოგადო შკოლებში 408,093
მისწავლე დადის. ინსპექტორი თავს იკლავს,
რომ სიციწორისაგამო სასწავლებლებში მე-
ტი ყმაწილები ვერ მიგვიღიაო. ის იმედო-
ვნეს, რომ სჯულის დამდები პალატა სახლე-
ბის ასაშენებლათ ახლისა და ძველის შკოლე-
ბისთვის ფულებს გადადებს. მასწავლებლე-
ბის რიცხვი შკოლებში 1866 წ. 26,494 იყო;
ამ რიცხვში 21,432 ქალი იყო და დანარჩე-
ნი მასწავლებლები კაცები.

შკო-მუნჯებისთვის დაწესებული სასწავლე-
ბელში 31 დეკემბერს 1865 წ. 235 პანსიო-
ნერი იყო ვაჟი და 171 ქალი. ეს სასწავლე-
ბელი მშენიერს მდგომარეობაშია: აქ ყველა
ახალს ზეთოდებს ხმარობენ, რაც ყრუ მუნჯე-
ბის სასწავლებლათ ჩვენ დროს გამოუგო-
ნიათ.

ნუ-იორკში ბრმებისათვისაც არის სასწა-
ვლები.

ლებელი. ეს სასწავლებელი არსებობს საზო-
გადოთ შეწირული ფულით. ინსპექტორი
თხოვლობს, რომ ამ სასწავლებლებში სასწა-
ვლები მმართველობამ იკისროს და უპატრონო ყმა-
წილების ასაზრდელათ რომ საზოგადოება
არის, იმას შემწეობა მისცეს. ამ საზოგადოე-
ბას 1865 წელში 12,500 ყმაწილზედ 16,681
დოლარი დაუხარჯავს.

ინსპექტორი აცხადებს, რომ საშუალო და
მაღალი სასწავლებლები ძლიერ კარგათ შე-
ესაბამებიანო თავის დანიშნულებასაო. იმედი
აქვთ, რომ მორგების უნივერსიტეტში
წლის დასასრულს სწავლა დაიწყოს. უნივერ-
სიტეტის სახლი უ. მსრო მორგებისაგან შე-
წირული ფულით არის აშენებული; მიწაც,
სადაც უნივერსიტეტი სდგას, იმისი ფულით
არის ნასყიდი.

ბანკირმა პიბოლდმ შკოლებისთვის ორი მი-
ლიონი და 100 ათასი დოლარი შესწირა;
ამ შკოლებში ყველა ტომის ან სარწმუნოების
ყმაწილები უნდა იზრდებოდნენ, (ესეგი შავი
ნეგრებიცა). ამ შკოლების გაწყობა ერთს კა-
მიტეტს მიანდეს; ამ კამიტეტში წევრებათ
გენერალი ბრანტი და აღმირალი შარგეტც
იმყოფებიან. კამიტეტის წევრებმა ამ ფულე-
ბით ელემენტალური (პირველ-დაწყებითი)
შკოლების დაწესება ამჯობინეს, და უ. პი-
ბოლისაგან შეწირულის ფულისაგან ძლიერ
ცოტა გაუნაწილეს სასწავლებელს, სადაც მა-
სწავლებლები უნდა მოამზადონ. მართმა ნუ-
იორკელმა წიგნის გამყიდვამ, უ. მილტონ-
მა კამიტეტს აცნობა, რომ ის 100 ათას ეკ-
სემპლიარს სახელსამდგანელოს შესწირავს.
მქვი არ არის, რომ ამერიკაში მილტონს
ამ კეთილს საქმეში მიმბაძვი ერთი და ორი
არ ეყოლება. აქ რამდენი სტუდენტებია ახალ-
ანგლიის სხვა და სხვა პროვინციებში: შტა-
ტების სახელი—შენი—286 სტუდენტი. მასა-
ჩუსეტსი 1616, ნუ-ბემპირი 298, კონექტიკუ-
ტი 899. როდ-აილანდი 190, მერმონტი 269.

სამილიონგრაშიო ცნობა.

დაიბეჭდა და ისყიდება ახლად შედგენილი
ქართული ანგანი და პირველი საკითხა-
მი წიგნი მოსწავლეთათვის, ი. შოგვაშვი-
ლისა. შასი ორი შაური, ხუცური ანგანი თა-
მი შაური.

იბეჭდება და ამ მოკლე დროში გამოც
„სამართელოს კალენდარი“ 1867 წლი-
სა, შედგენილი ნიკ. ავალიშვილისაგან. ეს
კალენდარი შეიცავს სხვა და სხვა საქირო
ცნობებს.

ქართული განცხადება.

შაბათს, 13 მაისს ტფილისის თეა-
ტრში იქნება წარმოდგენილი პირვე-
ლი: „მანიკო“, დრამა, სამ მოქმედე-
ბათ, თხზ. ბიორგი მანისთაშისა და
პირველი მოქმედება უ. ანტონოვისა:
„თვით მოგზაურობა ლიტერატურათა.“
აღიქსანდრე მარკაშვინი პირველსა
და მეორე პიესას შუა, დაუკრავს სკრი-
პკაზედ: Fantaisie caprise, თხზ. მიე-
ტანისა. ბილეთები იყიდება მელიქიშვი-
ლის სტამბაში, და წარმოდგენის დღეს
ტფილისის თეატრის კასაში.

17 მაისიდან გაიქცევა ქირით ზევითი
ქუჩაზე ხმელნიკის სახლში, არსენალის
ქუჩაზე. ეს სახლი მდებარებს არშა-
კუნის სახლის და სომხის ეკლესიის
ზოკონანტის გვერდით. ის ისყიდება
აგრეთვე იმისგამო, რომ იმისი პატრონი
ტფილისიდან გასვლას აპირებს. შასის
შეტყობა შეიძლება უ. შახოვისაგან
იმავე სახლში.